მოახმარე შენი ცოდნა საქართველოს!

2014-2017

განათლების საერთაშორისო ცენტრი დაარსდა 2014 წელს და 2014-17 წლებში 482 სასწავლო სტიპენდია გასცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველ საქართველოს მოქალაქეებისთვის.

მათმა ნაწილმა უკვე დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა, დაბრუნდა და მიღებული ცოდნის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში განაგრძობს. სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის დასრულების შემდგომ პროგრამების კურსდამთავრებულები საქართველოში ბრუნდებიან და მოღვაწეობას განაგრძობენ შესაბამის სფეროში 3 წლამდე ვადით. დაფინანსება გაიცემა კონკურსის წესით სამართლიანობის, შეჯიბრებითობისა და გამჭირვალობის პრინციპების დაცვით.

კონკურსში მონაწილეობის პროცედურა

ცენტრის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტები ავსებენ ელექტრონულ აპლიკაციას. კონკურსანტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას ცენტრის საერთაშორისო კომისია იღებს. თითოეული კონკურსანტის შეფასებას კომისიის წევრები წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აწარმოებენ. კომისიის წევრები თითოეულ განაცხადს ინდივიდუალურად აფასებენ ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია, საქართველოს მოქალაქეებისთვის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ხელმისაწვდომობის ამაღლება.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები

პროგრამის ამოცანებია, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.

საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა

სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებულ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება კონკურსის წესით და საზღვარგარეთ აიმაღლონ კვალიფიკაცია დაკავებული თანამდებობით დაკისრებული საქმიანობის შესაბამისი შინაარსის პროგრამაზე.

სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში

განათლების საერთაშორისო ცენტრისა და საფრანგეთის მთავრობის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამა. პროგრამის მიზანი, საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში ცენტრის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად გამოცხადებული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებების შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის დაფინანსება კონკურსის წესით.

საერთაშორისო სახელოვნებო აკადემიური პროგრამები

სახელოვნებო პროგრამა განათლების საერთაშორისო ცენტრმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით გამოაცხადა.

სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში (Stipendium Hungaricum)

უნგრეთისა და საქართველოს მთავრობების ერთობლივი პროგრამა ქართველი სტუდენტების დასაფინანსებლად უნგრეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისთვის

სტიპენდია უნგრელი სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის საქართველოში საზაფხულო სკოლებში.

> *თუ ერთწლიანი გეგმა გაქვს,*
> *ბრინჯი დათესე;*
> *თუ ათწლიანი გეგმა გაქვს,*
> *ხეები დარგე;*
> *ხოლო თუ ასწლიანი გეგმა გაქვს,*
> *განათლება მიეცი ბავშვებს.*
> *კონფუცი*

Use your knowledge. Benefit your country!

2014-2017

Since its inception in 2014 the International Education Center (IEC) has awarded 482 scholarships to citizens of Georgia, seeking their academic degrees abroad.

Many of them have already completed their studies and returned to the country contributing to progress of their homeland through gained knowledge and experience. Upon completion of their studies fellows have a legal commitment to return to Georgia and to deploy their knowledge and experience in service of their country and society for at least 3 years. Scholarships are awarded based on just, competitive and transparent competition.

Procedure of the Competition

Applications for scholarships are submitted via electronic application system. The decision is taken by international selection committee formed by the IEC. Each applicant is evaluated according to predetermined criteria. Members of the selection committee evaluate each application individually and independently through electronic system.

The IEC administers the following scholarship programs:

International Masters Scholarship Programs

The aim of the program is to facilitate access of the citizens of Georgia, holders of neutral ID cards or neutral travel documents to masters' programs offered by higher education institution (HEI) abroad.

International Doctoral Scholarship Programs

The aim of the program is to educate professionals to respond to the needs of labor market and country's socio-economic development and to facilitate their integration in relevant spheres/institutions. The program also strives to integrate the IEC alumni in higher education sector to foster development of the latter.

Public Servants' Professional Retraining and Qualification Enhancement Program

Employee of state (budgetary) organizations can obtain funding through open competition to complete professional retraining and qualification enhancement courses abroad. Professional retraining and qualification enhancement courses should respond to substance of responsibilities accrued to relevant public servants.

> *If your plan is for one year plant rice,*
> *If your plan is for ten years plant trees,*
> *If your plan is for one hundred years,*
> *educate children.*
> *Confucius*

French Master's Programs

The program provides merit-based scholarships to citizens of Georgia for Master's and PhD programs of French universities in designated fields of study. The program is administered jointly by IEC and the French government.

International Masters and PhD Scholarship Program in Arts

The program is offered in cooperation with the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia and grants merit-based full and partial scholarships for Arts students, embarking on their studies in Master's and PhD level programs abroad.

The Stipendium Hungaricum Scholarship Program

Joint program of governments of Georgia and Hungary, which aims to support on an annually basis studies of Georgian students in HEIs across Hungary.

Fulbright Academic Exchange Program

Starting from 2017 the IEC coordinates from Georgian side the implementation of the Fulbright Graduate Program in Georgia. The respective Memorandum of Understanding was signed by the Prime Minister of Georgia Giorgi Kvirikashvili and the U.S Secretary of State John Kerry. The binational selection committee will select 12 Georgian nominees for Fulbright scholarships, covering the full

IEC.GOV.GE

2017 წლიდან Fulbright-ის სამაგისტრო პროგრამას საქართველოს მხრიდან განათლების საერთაშორისო ცენტრი ახორციელებს

ამის შესახებ მემორანდუმს 2016 წელს ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ. შედგა ორმხრივი (ქართულ-ამერიკული) შემრჩევი კომისია. სტიპენდია 2018-19 სასწავლო წელს მიეცემა 12-მდე სტუდენტს. პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა მოხდა ქართული მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

მცირე საგრანტო პროგრამა ცენტრის სტიპენდიატებისთვის

მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ცენტრის სასტიპენდიო პროგრამების კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური რესურსის გამოყენებას ქვეყნის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში.

საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამა

2017-2020 წლებში განათლების საერთაშორისო ცენტრი ახალ სტრატეგიულ მიმართულებად ქვეყნისთვის საჭირო აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადებას „საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამულ მიმართულებაში“ გააერთიანებს. განათლების საერთაშორისო ცენტრის ახალი სტრატეგიული მიმართულება ხელს შეუწყობს საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასა და შესაბამისად, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უკეთ ინტეგრირებას.

tuition fees, living and travel expenses and insurance. Interests of Georgia shape prioritized fields of funding within the program.

Small Scale Alumni Grants Program

This year the IEC will announce small scale alumni grants, which aim at taking engaging intellectual resources of the IEC fellows and providing them financial support for implementing their social, community, cultural, educational, scientific, economic projects, contributing to positive changes and developments on national or community level. Moreover, the program aims to encourage creation and development of social, academic and professional network of IEC's graduates.

University Support Program

In 2017 through the University Support Program the IEC launches new strategic line of its activities, which is intended to provide support to HEIs of Georgia in capacity building of their academic, scientific and administrative personnel.
The program is conceived to propel internationalization of HEIs of Georgia and their integration into international education network.

2014-2017
სტიპენდიები/Scholarships



თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 7, მეორე სართული
Chavchavadze Avenue 7, II Floor, Tbilisi, Georgia
0322 97 01 97
info-iec@iec.gov.ge
http://iec.gov.ge/

განათლების საერთაშორისო ცენტრი

INTERNATIONAL EDUCATION CENTER